შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია“

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში დაგეგმილი „ხობი 2“ ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილება

სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი: შპს „მწვანე სივრცე“

2022

შინაარსი

1. შესავალი 4

2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა 5

3. ცვლილების ფარგლებში გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება 8

3.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე 8
3.2. ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება 8
3.3. ზემოქმედება წყლის გარემოზე და ნიადაგზე 8
3.4. ზემოქმედება ნარჩენების წარმოქმნის შედეგად 8
3.5. პროექტის განხორციელების შედეგად სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ზემოქმედების საკითხები და მოსაჭრელი ხე-მცენარეების შესახებ ინფორმაცია 9
3.6. ზემოქმედება ბიომრაფალფეროვნებაზე 11
3.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე 11
3.8. ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიებსა და შავი ზღვის სანაპირო ზოლზე 11
3.9. ზემოქმედება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და არქეოლოგიურ ძეგლებზე 11
3.10. ზემოქმედება მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე 12
3.11. ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი 12
3.12. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება 12

საკონტაქტო ინფორმაცია

საქმიანობის განმხორციელებელი:	შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია“
საიდენტიფიკაციო კოდი:	205256177
იურიდიული მისამართი:	ქ. თბილისი, კოტე აფხაზის 44, მეიდან პალასი, მე-2 სართული
საქმიანობის სახე	ხობი 2 ჰესის მშენებლობა და ექსპლუატაცია
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი
საკონტაქტო პირი:	სანდრო მწყერაძე
საკონტაქტო ინფორმაცია:	ტელ.:+995 599 212120; ელ.ფოსტა:sandro@gigenergy.ge
საკონსულტაციო:	შპს „მწვანე სივრცე“
საკონტაქტო პირი:	გიორგი მჭედლიშვილი
საკონტაქტო ინფორმაცია:	ტელ.:+995 595 636262; ელ.ფოსტა giorgi.mtchedlishvili90@gmail.com

1. შესავალი

შპს „ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიის“ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდ. ხობისწყალზე „ხობი 2“ ჰესის მშენებლობაზე და ექსპლუატაციაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 13 მარტის №2-149 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

„ხობი 2“ ჰესის დეტალური დიზაინის შემუშავების ეტაპზე დაკორექტირდა გამოსასვლელი პორტალის ადგილმდებარეობა და ჩამოიწია დაახლოებით 70 მ-ით ქვემოთ, ძალური კვანძის მიმართულებით. ამასთან მცირედით დაკორექტირდა სადაწნეო მილსადენის და ძალური კვანძის განთავსების ადგილები. აღსანიშნავია, დაკორექტირებული ძალური კვანძის, გამოსასვლელი პორტალის და სადაწნეო მილსადენის განთავსების ტერიტორიები წარმოადგენენ (შპს ,,ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია") საქმინაობის განმახორციელებლის საკუთრებას.

აღნიშნული ცვლილება ტექნიკური ხასიათის მატარებელია, რაც განაპირობა პროექტის დეტალურ დიზაინში დაზუსტებული ინფორმაციის ასახვამ.

იმის გათვალისწინებით, რომ ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის” მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა, მათ შორის, წარმადობის გაზრდა, ამ კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოგიდგენთ „ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში დაგეგმილი „ხობი 2“ ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკრნინგის ანგარიშს“.

2. დაგეგმილი საქმიანობის აღწერა

პროექტის დეტალურ დიზაინში დაზუსტებული ინფორმაციის ასახვამ გამოავლინა საპროექტო ჰესის პირველად დიზაინში უმნიშვნელო, მაგრამ აუცილებელი კორექტირებების შეტანის საჭიროება. კერძოდ,

- გამოსასვლელი პორტალის ადგილმდებარეობა ჩამოიწია დაახლოებით 70 მ-ით ქვემოთ, ძალური კვანძის მიმართულებით;
- მცირედით შეიცვლა სადაწნეო მილსადენის და ძალური კვანძის განთავსების ადგილები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2018 წლის 13 მარტის №2-149 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით:

- **სადაწნეო მილსადენის** განთავსების ფართობი იყო 12,413 კვ.მ;
- **ძალური კვანძის** კვანძის განთავსების ტერიტორიის ფართობი იყო 3,963 კვ.მ.

დეტალური დიზაინის შემუშავების შედეგად სადაწნეო მილსადენის მცირედით გადმოიწია მარცხენა მხარეს, ამასთან დაკორექტირდა ასათვისებელი ფართობი. მნიშნელოვან გარემოებას წარმოადგენს ის ფაქტორი, რომ დაკორექტირების შედეგად, სადაწნეო მილსადენისთვის ასათვისებელმა ფართობმა შეადგინა 10,586 კვ.მ. რაც ნიშნავს რომ, საბოლოო ჯამში, ფართობი შემცირდა 1827 კვ.მ-ით. ახალი სადაწნეო მილსადენი ნაწილობრივ იმეორებს ძველის კონტურს. ძველი და ახალი მილსადენის გადაფარვამ შეადგინა 3,830 კვ.მ.

ასევე დაზუსტდა და დაკორექტირდა ძალური კვანძის განთავსების ტერიტორია. რომლის განთავსების ფართობმა შეადგინა 3055 კვ.მ. შესაბამისად ძალური კვანძის განთასების ადგილიც შემცირდა 908 კვ.მ-ით. ახალი ძალური კვაძის განთავსების ტერიტორიაც ნაწილობრივ, კერძოდ 1,260 კვ.მ-ით იმეორებს ძველის განთავსების ადგილს.

<u>დაკორექტირების შედეგად:</u>

- **სადაწნეო მილსადენის** განთავსების ფართობი შეადენს 10,586 კვ.მ-ს;
- **ძალური კვანძის** კვანძის განთავსების ტერიტორიის ფართობი შეადგენს იყო 3055 კვ.მ-ს.

ქვემოთ მოცემულია გამოსასვლელი პორტალის, სადაწნეო მილსადენის და ძალური კვანძის ცვლილების შესახებ ინფომაცია (იხ. სურათი 2.1.).

სურათი 2.1. *ცვლილების სქემა*

აღსანიშნავია, რომ ძალური კვანძის, სადაწნეო მილსადენის და გამოსასვლელი პორტალის ტერიტორიები წარმოადგენენ (შპს ,,ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგია") საქმინაობის განმახორციელებლის საკუთრებას, რომელიც დასტურდება ამონაწერებით.

საკადასტრო კოდების საერთო ჯამი შადგენს 47,026 კვ.მ. ტერიტორიები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა.

სურათი 2.2. *ს/კ 46.15.35.094 და 46.15.35.009 განთავსების სქემა*

სურათი 2.3. *ს/კ 46.15.35.094-განთავსების სქემა*



სურათი 2.4. *ს/კ 46.15.35.009-განთავსების სქემა*



მნიშვნელოვანია, რომ ძალური კვანძის, სადაწნეო მილსადენის და გამოსასვლელი პორტალის განთავსების ტერიტორიების მცირედი დაკორექტირება:

- არ ზრდის საპროექტო ჰესის მასშტაბებს, სამუშაოთა მოცულობასა და ექსპლუატაციის პირობებს და არ ცვლის მის სხვა მახასიათებლებს;
- არ ზრდის ჭრას დაქვემდებარებლ ინდივითთა რაოდენობას;
- არ იცვლება საპროექტო არეალის მოსაზღვრე ზურმუხტის ქსელის საიტთან (GE0000021) დაშორების მანძილი და შესაბამისად ზემოქმედება;
- არ იცვლება საცხოვრებელ ტერიტორიებთან და სახლებთან დაშორების მანძილები;

3. ცვლილების ფარგლებში გარემოზე შესაძლო ზემოქმედებების შეფასება

სკრინინგის ანგარიშით წარმოდგენილი ცვლილება არ ცვლის ჰესის საპროექტო მახასიათებლებს და მისი მოწყობის და ექსპლუატაციის პერიოდში დაგეგმილ ღონისძიებებს.

საპროექტო ჰესი მშენებლობა და ექსპლუატაცია იგეგმება გზშ ანგარიშის შესაბამისად. ძალური კვანძის, სადაწნეო მილსადენის და გამოსასვლელი პორტალის განთავსების ტერიტორიების მცირედით დაკორექტირება განპირობებულია დეტალური დიზაინის დახვეწით. როგორც აღვნიშნეთ, მოცემული გარემოება არ ზრდის საქმიანობის მასშტაბს - არ იცვლება ჰესის განთავსების ადგილები, ტრასის მარშრუტი, ტექნიკური პარამეტრები, მისასვლელი გზები, მშენებლობისა და ექსპლუატაციის პირობები.

ზემოქმედება რაც შესაძლებელია, პროექტს ჰქონდეს, შესწავლილია გზშ-ს ეტაპზე, რომელზეც გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. ბუფერის მცირედით ცვლილება გარემოზე უარყოფით ზემოქმედებს არ ზრდის.

3.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

ძალური კვანძის, სადაწნეო მილსადენის და გამოსასვლელი პორტალის განთავსების ტერიტორიების დაკორექტირებით გამოწვეული ცვლილება, არ განაპირობებს დამატებით უარყოფით ზემოქმედებას ატმოსფერულ ჰაერზე, რადგან დაკორექტირებით გამოწვეული ცვლილება არ ცვლის ჰესის ტექნიკურ პარამეტრებს და მისი მოწყობისათვის დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებს.

3.2. ხმაურისა და ვიბრაციის გავრცელება

იმის გათვალისწინებით, რომ არ იცვლება არც ტექნიკური პარამეტრები და არც დაგეგმილი სამუშაოების მოცულობა - ძალური კვანძის, სადაწნეო მილსადენის და გამოსასვლელი პორტალის განთავსების ტერიტორიების დაკორექტირებით გამოწვეული ცვლილება არ ზრდის ხმაურის და ვიბრაციის გავრცელების კუთხით ზემოქმედებას.

3.3. ზემოქმედება წყლის გარემოზე და ნიადაგზე

დაკორექტირებით არ იცვლება, მისასვლელი გზები, მოსახსნელი ნაყოფიერი ფენის მოცულობა, სამშენებლო სამუშაოები. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, უარყოფითი ზემოქმედება წყლის გარემოზე და ნიადაგზე მოსალოდნელი არ არის.

3.4. ზემოქმედება ნარჩენების წარმოქმნის შედეგად

გზშ ანგარიშის თანახმად საპროექტო „ხობი 2“ ჰესის მშენებლობის ეტაპზე მოსალოდნელია გარკვეული რაოდენობის სახიფათო და არასახიფათო ნარჩენების წარმოქმნა. მშენებლობის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა ამ საქმიანობაზე

სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციას ხელშეკრულების საფუძველზე (დეტალური ინფორმაცია მოცემულია გზშ ანგარიშში).

ზემოაღნიშნული ცვლილებები არ გამოიწვევს ნარჩენების წარმოქმნის გაზრდას, რადგან არ იცვლება სამშენებლო სამუშაოების მასშტაბები. ამასთან ნარჩენების მართვა განხორციელდება გზშ-ს ანგარიშისა და შეთანხმებული ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

3.5. პროექტის განხორციელების შედეგად სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე ზემოქმედების საკითხები და მოსაჭრელი ხე-მცენარეების შესახებ ინფორმაცია

სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო”-სთან შეთანხმებით (ძველი) ძალური კვანძის, (ძველი) სადაწნეო მილსადენის დერეფანში და TBM-ის ბაქანზე და მისასვლელი გზის დერეფანში ჩატარებულია მცენარეული საფარისაგან გაწმენდის სამუშაოები.

ძალური კვანძი

ახალი განთავსების ტერიტორია არ საჭიროებს დამატებით მცენარეული საფარისგან გაწმენდას, შესაბამისად ზემოქმედება მცენარეულ საფარზე არ არის მოსალოდნელი.

სურათი 3.5.1 ძალური კვანძის განთასების ტერიტორიის ორთო ფოტო

სადაწნეო მილსადენი

ახალი საპროექტო სადაწნეო მილსადენის ტერიტორია არ გამოირჩევა ფლორისტული მრავალფეროვნებით. აღსანიშნავია, ის გარემოება რომ ახალი სადაწნეო მილსადენის ფართობი ნაწილობრივ მოიცავს ძველი განთავსების ტერიტორიას, რომელზეც სსიპ „ეროვნული სატყეო სააგენტო”-სთან შეთანხმებით განხორციელებებულია მცენარეული საფარისაგან გაწმენდის სამუშაოები. იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს შპს ,,ქართული საინვესტიციო ჯგუფი ენერგიას" საკუთრებას, დამატებით ხე-მცენარეების ჭრის შემთხვევაში განხორციელდება შესაბამის უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმება. გამოწვეული ცვლილება, არ იწვევს წითელი ნუსხის სახეობებზე ზემოქმდებას.

სურათი 3.5.2 ახალი და ძველი სადაწნეო მილსადანის განთავსების ორთო ფოტო



გამომსვლელი პორტალი

გამომსვლელი პორტალის ადგილმდებარეობის 70 მ-ით ძალური კვანძის მიმართულებით გადმოწევა არ იწვევს ხე-მცენარეებზე რაიმეს სახის დამატებით ზემოქმედებას.

ზემოაღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, ცვლილება არ ზრდის ჭრას დაქვემდებარებლ ინდივითთა რაოდენობას, შესაბამისად პროექტის მასშტაბიდან გამომდინარე აღნიშნული ცვლილება არ წარმოადგენს მნიშვნელოვან ზემოქმედებას.

3.6. ზემოქმედება ბიომრაფალფეროვნებაზე

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში დეტალურად არის აღწერილი ბიომრავალფეროვნების არსებული მდგომარეობა და განხილულია ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების საკითხები და ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებები როგორც მშენებლობის, ასევე ექსპლუატაციის ეტაპებისთვის.

გზშ-ს თანახმად ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების გამომწვევია საინჟინრო სამუშაოები და ამ სამუშაოების მოსამზადებელ პერიოდში ჩასატარებელი ქმედებები, მათ შორის მისასვლელი გზების მოწყობა, თუმცა აღნიშნულ ტერიტორიაზე უმეტესი მოსამზადებელი სამუშაოები ჩატარებულია, შესაბამისად ცვლილებით დამატებითი უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ძალური კვანძის, სადაწნეო მილსადენის და გამოსასვლელი პორტალის განთავსების ტერიტორიების დაკორექტირებით გამოწვეული ზემოქმედება ბიომრავალფეროვნებაზე შეგვიძლია, განვიხილოთ უმნიშვნელოდ.

3.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე

საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ზურმუხტის ქსელის საიტი (GE0000021). იმის გათვალისწინებით რომ აღნიშნულ საქმიანობაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება, ამასთან ტერიტორიაზე ძირითადი სამუშაოები ჩატარებულია, ყოველივეს გათვალისწინებით ცვლილება არ იწვევს დამატებით ზემოქმედებას დაცულ ზურმუხტის ქსელის საიტზე.

3.8. ზემოქმედება ჭარბტენიან ტერიტორიებსა და შავი ზღვის სანაპირო ზოლზე

ჭარბტენიანი ტერიტორიები და შავი ზღვის სანაპირო ზოლი საპროექტო ტერიტორიას არ ესაზღვრება.

3.9. ზემოქმედება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და არქეოლოგიურ ძეგლებზე

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად, საველე სამუშაოების შედეგების მიხედვით, მშენებლობის გავლენის ზონაში ისტორიულ-კულტურულ ან არქეოლოგიური ძეგლების არსებობა არ დადასტურებულა. ბუფერის კონტურებში, საველე დათვალიერების დროს, ასევე არ გამოვლენილა ისტორიულ-კულტურულ ან არქეოლოგიური ძეგლების არსებობა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოქმედება ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობისა და არქეოლოგიურ ძეგლებზე მოსალოდნელი არ არის.

3.10. ზემოქმედება მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებზე

ძალური კვანძის, სადაწნეო მილსადენის და გამოსასვლელი პორტალის განთავსების ტერიტორიების დაკორექტირება არ ცვლის მანძილს საცხოვრებელ სახლებთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზემოქმედება მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე მოსალოდნელი არ არის.

3.11. ზემოქმედების ტრანსსასაზღვრო ხასიათი

საპროექტო საქმიანობის მასშტაბებისა და განთავსების ტერიტორიიდან გამომდინარე ტრანსსასაზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

3.12. არსებულ საქმიანობასთან ან/და დაგეგმილ საქმიანობასთან კუმულაციური ზემოქმედება

იმის გათვალისწინებით, რომ ზემოაღნიშნული ცვლელება არ ცვლის ჰესის ტექნიკურ პარამეტრებს და მშენებლობა/ექსპლუატაცია იგეგმება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესაბამისად - აღნიშნული ცვლილებით კუმულაციური ზემოქმედება არ იზრდება.